პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (9938) | შაბათი, 10 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — პ. ჭიოკაძე. — როცა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის არ ზრუნავენ. ი. თევდორაშვილი. — მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია. ს. სვიანაძე. — კომუნისტების მაღალი აქტივობა (მე-2 გვერდი).

ძირეული პრესის მიმოხილვა. — გ. ხეჩუაშვილი. — რატომ არ კითხულობენ კოლმეურნეები თავიანთ კედლის გაზეთს (მე-2 გვერდი).

კ. სიხარულიძე, შ. ჭოჭუა. — გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებისადმი (მე-2 გვერდი).

ა. სოლოვიოვა. — გამოჩენილი [illegible] (მე-3 გვერდი).

გ. მეფისაშვილი. — სოფლის მ[illegible] სიამ უკეთ უნდა ამუშაოს (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — გ. ცისკრელი, ი. ბერიშვილი. — სასარგებლო წიგნი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შესრულების სისტემატური შემოწმება მთავარია ორგანიზაციულ მუშაობაში

კომუნისტური პარტია დიდ მუშაობას ეწევა პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისათვის. პარტია გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს ხელმძღვანელობის ბიუროკრატულ, კანცელარიულ სტილს, პარტიული და სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვს ყურადღება გაამახვილონ არა სხვადასხვა ცნობებისა და მიმოწერის შეგროვებაზე, არამედ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ ადგილებზე, მთავარი ყურადღება მიაქცევინონ მასებში ორგანიზატორულ მუშაობას, უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

გადაწყვეტილების შესრულების ცუდი ორგანიზაცია, დადგენილების განხორციელებისადმი ჯეროვანი კონტროლის უქონლობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაკლია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში.

ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლანდელ პირობებში, როდესაც პარტია და მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიმწვავით დგება მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების ამოცანა. საჭიროა ისე დავაყენოთ პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა, რომ იგი ნამდვილად ემსახურებოდეს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების განხორციელების საქმეს. პარტიული კომიტეტების ამოცანაა ყოველმხრივ გააძლიერონ კონტროლი და შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში, უკლებლივ ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობაში, მიაღწიონ იმას, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი ყველგან და ყოველთვის ზუსტად სრულდებოდეს.

უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა უკეთესად მოაწყეს შესრულების შემოწმება, სერიოზული ყურადღება ექცევა კადრების შერჩევასა და მათ სწორად განაწილებას. კომუნისტები ახლა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან როგორც ზემდგომი ორგანოების, ისე საკუთარ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ არ გამხდარა ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოს მუშაობის მთავარი მეთოდი. ზნაურის რაიონის სოფელ ძაღინის კოლმეურნეობაში ცუდად უვლიდნენ ბაღ-ვენახებს, ირღვეოდა აგროტექნიკური წესები, ყურადღება არ ექცეოდა შრომის მოწონავე მეთოდების დანერგვას, კომუნისტები ვერ იჩენდნენ ავანგარდულ როლს. ეს საკითხი მარტში განიხილა რაიკომის ბიურომ, მიიღო ვრცელი დადგენილება და საქმე ამით დაამთავრა. დადგენილების შესრულება აღარავის მოჰგონებია. უფრო მეტიც, რაიკომის ბიუროს დადგენილება მხოლოდ 30 მაისს გაგზავნეს კოლმეურნეობაში. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ რაიკომის ბიუროს დადგენილება განუხორციელებელი დარჩა, რომ კოლმეურნეობაში დიდი დაგვიანებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სათანადოდ მოვლილი არ არის ბაღ-ვენახები.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი არაერთხელ მიგვითითებდნენ, რომ უხელმძღვანელო — ეს ნიშნავს სისტემატურად შეამოწმო დადგენილების შესრულება, მოთმინებით იმუშაო კადრებთან, შეარჩიო ადამიანები არა მათი საანკეტო მონაცემებით, არამედ საქმიანი ნიშნის მიხედვით. პარტიულ კომიტეტებს არა მარტო სწორი დადგენილების გამოტანა ევალებათ, არამედ ისინი პასუხისმგებლები არიან სწორი გადაწყვეტილების დროზე და ზუსტად შესრულებისათვისაც. მიიღო სწორი დადგენილება — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გააკეთე. კარგი დადგენილების გამოტანა საქმის მხოლოდ დასაწყისია. პარტიულმა კომიტეტმა უნდა შეძლოს მისი პრაქტიკულად შესრულება, ამ საქმეში ჩააბას თვითეული კომუნისტი, ყოველი მშრომელი.

ორგანიზატორული მუშაობის სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებანი მიღებული დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესრულების შემოწმების მიზანია ვამხილოთ ნაკლოვანებანი, დაეხმაროთ კადრებს რჩევა-დარიგების მიცემით, დავსაჯოთ დამნაშავენი, რომლებიც ეღობებიან და აფერხებენ საქმეს, მივაღწიოთ მიღებული დადგენილების უეჭველ შესრულებას. შემოწმებას თან უნდა ახლდეს ცუდი, უვარგისი, ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მუშაკების შეცვლა უკეთესი, მოწინავე, პატიოსანი მუშაკებით, ისეთი ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ საქმე, იმუშაონ ხალხის ინტერესებისათვის. შესრულების შემოწმებამ უნდა გამოიწვიოს შრომის დისციპლინის გაუმჯობესება, საქმისადმი გულგრილი, ფორმალური დამოკიდებულების აღმოფხვრა. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთი უპასუხისმგებლო მუშაკის ფორმალური, ბიუროკრატული დამოკიდებულება დადგენილებისადმი ზიანს აყენებს საერთო საქმეს, იწვევს გეგმების შეუსრულებლობას.

პარტიული კომიტეტები შესრულების შემოწმებისას თავიანთ მუშაობაში უნდა ეყრდნობოდნენ მშრომელთა ფართო მასებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. „შესრულების ზემოდან შემოწმება მასებზეა პარტიული და უპარტიო მასებთან, — ამბობდა პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგი გ. მ. მალენკოვი, — მხოლოდ ეს უზრუნველყოფს ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოფხვრას, შექმნის ვითარებას, რომლის დროსაც გადაწყვეტილებანი და დირექტივები შესრულდება დროზე და ზუსტად, ბოლშევიკურად“.

შესრულების შემოწმების საქმეში ბნიშვნელოვან როლს ასრულებენ პარტიული კომიტეტების პლენუმები, პარტიული კომიტეტების ბიუროებისა და კოლმეურნეთა კრებები. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ ეს კრებები ტარდებოდეს მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, რათა ნამდვილად იქნას მხილებული ყველა ნაკლოვანება. ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საწარმოში, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კრებები ეწყობა მაშინ, როცა შემთხვევა მოიტანს, ეწყობა ფორმალურად, მთელი სიღრმით არ ამხილებენ ნაკლოვანებებს, არ სახავენ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

შესრულების შემოწმება სწორი პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი პირობაა. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ პარტიული გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება. ბრძოლა მიღებულ დადგენილებათა დროულად შესრულებისათვის ყველა პარტიული კომიტეტის, ყველა კომუნისტის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ამოცანა ის არის, რომ კადრების სწორად შერჩევა და შესრულების შემოწმება პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობის მთავარი მეთოდი გახდეს. შესრულების შემოწმების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას ახალი ამოცანების შესაბამისად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ საპატიო წოდება **„გმირი დედა“** და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ქვაჩახიას** ეკატერინა პავლეს ასულს — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

2. **ლომთათიძეს** ლუბა ფილიპეს ასულს — ჩოხატაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

3. **ფირცხალაიშვილს** კესარია ლევანის ასულს — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის კოლმეურნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 3 ივლისი.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

მაიაკოვსკის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოს ჩაბარდა მაღალი ხარისხის პარკი. დამზადება გრძელდება.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

პირველი დღეები

კასპის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში პური შემოვიდა. კომბაინერებმა პირველად გაჭრეს პურეულის ყანები. მოსავლის აღება ორგანიზებულად მიდის სოფელ ოკამის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მოსავალს შეუფერხებლად იღებენ სამთავისის მტს-ის „სტალინეც-6“ მარკის კომბაინები. კომბაინერები შ. ხუროშვილი და ნ. ზანგური, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში, ყოველდღიურად 15-18 ჰექტარს მკიან. ოკამელი კოლმეურნეები რაიონში პირველნი შეუდგნენ სახელმწიფოსათვის პირველი განაღლეწი მარცვლეულის ჩაბარებას.

მოსავლის აღება კარგად დაიწყო აგრეთვე კასპის, მეტეხის და სხვა კოლმეურნეობებში. მოსავლის აღების ფრონტი ყოველდღიურად ფართოვდება. მოსავლის აღების პირველ დღეებშივე დაწინაურდნენ კომბაინერები გ. ხერიკაშვილი (თეძამის მტს-ი), მ. გოჭოშვილი და ო. გეჯაძე (კასპის მტს-ი). მათ ორ დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინებით მოსავალი აიღეს 37-40 ჰექტარზე.

მოსავლის აღების პირველ დღეებში სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვლინდა. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში (ზემო ხანდაკი, ხოვლე, ყარაღაჯი, ალაიანი და სხვ.), სადაც მოსავლის აღება დაიწყო, ცუდად არის მოწყობილი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა. ახეთ მდგომარეობას რატომღაც ითმენენ მტს-ების აგრონომები კოლმეურნეობებში. მაგალითად, სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს ი. კასრაძეს არ აღელვებს, რომ კოლმეურნეობაში მოსავალი აღებულია 50 ჰექტარზე, თავთავი კი ჯერ ერთ ჰექტარზეც არ არის აკრეფილი.

ზოგან კომბაინების მოცდენასაც ვხვდებით. 4 ივლისს სოფელ ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის „აშურიანის“ ველზე ნახევარ დღეს მოცდა თეძამის მტს-ის ერთი თვითმავალი კომბაინი ღვედის გაწყვეტის გამო. გაწყვეტილი ღვედის ახლით შეცვლას კი მცირე დრო სჭირდებოდა.

ზოგან აგვიანებენ მარცვლეულის გაწმენდასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. სოფელ აღაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას 5 ივლისისათვის გალეწილი ჰქონდა 53 ტონაზე მეტი მარცვლეული, მაგრამ სახელმწიფოსათვის ჯერ ერთი კილოგრამიც არ ჩაუბარებია.

პარტიის კასპის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პურეულის აღება დამთავრდა

წითელწყაროში. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქუჩებში მუსიკის ხმა გაისმა, მალე ლამაზად მორთული ავტომანქანები გამოჩნდნენ. წითელწყაროელი მეხოვრეებიები ქუჩაში გამოეფინენ, ყველას სიამე ავრძნობინა ამ საზეიმო დღემ., თვითეულ მანქანას ამშვენებდა წარწერები წითელ მატერიაზე: „პირველი განალეწი პური სამშობლოს“! მშრომელები აღფრთოვანებულნი ესალმებიან სახათლელ კოლმეურნეებს, რომლებსაც პირველებს მიჰქონდათ მაღალხარისხოვანი ხორბალი ზაგოტზერნოს პუნქტში ჩასაბარებლად.

საბათლოელ კოლმეურნეებს ყოველ წელიწადს მაღალი მოსავალი მოჰყავთ. წელს მათ 900 ჰექტარზე დათესეს ქერი და ხორბალი, ნათესს მზრუნველობა არ მოაკლეს და შედეგიც კარგი მიიღეს. როცა ქედის მტს-ის მექანიზატორებმა მკა გააჩაღეს, თვითეულ კოლმეურნეს ხიხარულით აევსო გული: ჰექტარზე მიღებულ 30 ცენტნერი მოსავალი. 6 ივლისს დამთავრეს პურეულის აღება.

პურეულის მკაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კომბაინერებმა სოლიკო იანვარიშვილმა, ალექსი ბაქაურმა. ისინი ყოველდღიურად 15-18 ჰექტარზე იღებდნენ მოსავალს და ლეწავდნენ ჰექტარზე 33-35 ცენტნერს.

საბათლოელებმა მკის შემდეგ ნამჯის შეგროვება და ანეულის ხვნა გააჩაღეს. აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საქართველოს კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

* * *

სტავროპოლის მხარის პეტროვსკოეს მტს-ის კომბაინერთა მოწოდებამ კომბაინის თვითეული აგრეგატის მიერ დღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცვლეულის მაღალი გამოსავლიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ საქართველოს მექანიზატორთა შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. ახლა, როცა ჩვენში მთელ რიგ რაიონებში გაჩაღებულია მოსავლის მასობრივად აღება, ბევრი კომბაინერი უნარიანად იბრძვის პირველხარისხოვანი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. თვითეული აგრეგატის ყოველდღიური მუშაობის შედეგების შეჯამება ახალ შრომითს აღმავლობას იწვევს. მექანიზატორები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას.

ყვარლის მტს-ში:

ს. ბუთიაშვილი საათობრივი გრაფიკით მუშაობს და კომბაინის მაღალ წარმადობას აღწევს. იგი პურეულს მკის ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ს. ბუთიაშვილი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით დღეში მოსავალს იღებს 23 ჰექტარზე, მან უკვე მომკა 200 ჰექტარზე მეტი და გალეწა 320 ტონა მარცვლეული.

ვ. დაქაურიძე ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მკის პურს. იგი დღეში 15-16 ჰექტარზე იღებს მოსავალს. უკვე 200 ტონაზე მეტი პური გალეწა.

გ. ხუციშვილი მკის დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. კომბაინერ გ. ხუციშვილის აგრეგატი სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს და 200 ტონაზე მეტი პური გალეწა.

ბადიაურის მტს-ში:

შ. ალუღიშვილი კეთილსინდისიერად მომუშავე კომბაინერია. მან სამ დღეში კაჭრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში 60 ჰექტარი პური მომკა. ალუღიშვილი დღეში მოსავალს 20 ჰექტარზე იღებს და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 27 ცენტნერ პურს.

ს. ოგანეზოვი შეუფერხებლივ ამუშავებს კომბაინს. მან 100 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 240 ტონა პური გალეწა. დღეში საშუალოდ მკის 18-20 ჰექტარს. თვითეულ ჰექტარზე პურის გამოსავლიანობა 25 ცენტნერს შეადგენს.

გ. ძირკველიშვილი ბეჯითად შრომობს. სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მან 100 ჰექტარზე აიღო პურეული და 210 ტონა მარცვლეული გალეწა. მკის ტემპს დღითიდღე აძლიერებს.

მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ

რა აწუხებთ ენისლელ კომბაინერებს

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის პურეულის ნათესები ათას ჰექტარს აჭარბებს. აქ ახლა ხალისიანი შრომაა გაჩაღებული. ქალი, კაცი და მოზარდი მოსავლის აღებაზე მუშაობს.

ენისლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მინდვრის ხომალდები განუწყვეტლივ გუგუნებენ. კომბაინერებად სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ნ. კურდღელაშვილი და მისი მოადგილე ნ. მეტრეველი მუშაობენ. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან. თვითეული მათგანი ამ სეზონში ხუთას ჰექტარზე მეტის მომკას ვარაუდობს. მათი პირობა შესრულდება. ამას მუშაობის პირველი დღეების შედეგები ადასტურებს. ნ. კურდღელაშვილმა ხუთ ივნისს 28 ტონა პური გალეწა, 6 ივლისს კი — 34 ტონა.

ნ. მეტრეველი მრავალ პროფესიას დაუფლებულია. იგი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს მართავს. 4 დღეში 80 ჰექტარი მომკა, თვითეულ ჰექტარზე 17 ცენტნერი პური გალეწა. მეტრეველი მიღწეულით არ კმაყოფილდება. — პირველი დღეების ნაკლოვანებანი გამოსწორებულია, ახლა გამართულად ვმუშაობთ, დღეში 15-20 ჰექტარს აღარ დავჯერდებით, — ასე აცხადებს იგი.

ილია ბერიაშვილი წელს პირველად მუშაობს კომბაინერად. მიუხედავად ამისა, ბევრ გამოცდილს გაასწრო, ხუთ დღეში 115 ჰექტარი ყანა მომკა, კომბაინერ ლაზარე ზუბიტაშვილზე, რომელსაც ეჯიბრება, 20 ჰექტარით მეტი მომკა. ბერიაშვილმა გვიამბო:

— დღეღამეში კომბაინს ოც საათს ვამუშავებთ. პროფილაქტიკური დათვალიერების მიზნით ყოველ ათ საათში ერთ საათს ვაჩერებთ. ვზეთავთ საკისარებს, ვამოწმებთ და ვამაგრებთ მჭრელი აპარატის და ძრავის დეტალებს. ღამის ორ საათზე პური ნესტანდება, მკა ძნელდება, 5 საათამდე ვაწარმოებთ აგრეგატის ტექნიკური მოვლას, ვასხამთ საწვავს, წყალს და ვიწყებთ მუშაობას. საათობრივი გრაფიკით მუშაობამ ყოველდღიურად 5-6 ჰექტარით გაა, დიდა ჩვენი კომბაინის წარმადობა.

ლაზარე ზუბიტაშვილი, რომელიც შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, ყოველდღიურად 18 ჰექტარზე იღებს მოსავალს, ზოგიერთ ნაკვეთში ვთესოთ ჰექტარზე ოც ცენტნერ პურს ლეწავს.

— რატომ ჩამორჩით ბერიაშვილს?

შევეკითხეთ ზუბიტაშვილს, რომელმაც განაცხადა:

— ჩამოვრჩი იმიტომ, რომ ღამით ვერა ვმუშაობ, კომბაინზე ელექტროგანათება არა მაქვს. რამდენჯერმე ვთხოვე მტს-ის დირექციას, რომ განათების მოსწყობად მასალები და მოწყობილობა მოეცა, მაგრამ ამბოდ. ჩემი თხოვნა დღემდე არ შეასრულეს.

იოსებ მუსაშვილი საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში მუშაობს. იგი დღეში 17-18 ჰექტარს მკის. 6 ივლისს 26 ტონა პური გადმოტვირთა ბუნკერიდან. მუსაშვილი მკას დაბალ ჭრაზე აწარმოებს.

ენისლის მტს-ში ჩამორჩენილნიც არიან. კომბაინერები მ. ჭუნაშვილი, ზ. ელოშვილი და ე. ბარძიმაშვილი, რომლებიც „კომუნარებს“ მართავენ, დღეში 2-3 ჰექტარზე მეტს ვერა მკიან.

ენისლელ მექანიზატორებს დახმარება სჭირდებათ. იმის გამო, რომ სახელოსნოში ელექტროდენი არა აქვთ, დაზიანებული ნაწილები სხვა მტს-ებში მიაქვთ აღსადგენად. მტს-ს აკლია ტრაქტორებისა და კომბაინების მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები. სოფლმომარაგების თელავის განყოფილება და „ავტოტრაქტორსბიტის“ წნორის ბაზა მტს-იდან მისულ წარმომადგენლებს უარით ისტუმრებენ — „არა გვაქვსო“. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ნაწილების შესაძენად მტს-ს ფული არ გააჩნია. ამ საქმის მოგვარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუძლია.

ენისლის მტს-ის დირექციამ (დირექტორი ე. ლომაური) და ყვარლის რაიონის ხელმძღვანელობამ კომბაინერებისადმი დახმარება უნდა გააძლიერონ.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რკინიგზელის საკავშირო დღის შესახვედრად

წელს საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებიან თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის — რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად. მასობრივად ებმებიან ტრანსპორტის მუშაკები ახალ საწარმოო მიღწევათა მოპოვებისათვის, რკინიგზის მუშაკთა აქტივის საკავშირო თათბირის გადწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახალი მიღწევებით შევხვდეთ რკინიგზელის საკავშირო დღეს! — ასეთია ახლა რკინიგზის ტრანსპორტისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა საბრძოლო ლოზუნგი.

თბილისელი მეელმავლეები — პირველ წყებაში

რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას თბილისის სალოკომავლო დეპოს მეელმავლეებმა იანვრის 1 აგვისტომდე გადაიყვანეს 100 მძიმე წონის მატარებელი, გეგმის დადამეტებით უზრუნველყონ 70.000 ტონა სახელმწიფო ტვირთის გადაზიდვა, ლოკომოტივთა მოვლის გაუმჯობესებით სახელმწიფოს დაუზოგონ სულ ცოტა 2.000 მანეთი, ელექტრომავლების შეკეთებათა შორის გარბენა გაადიდონ 220.000 კილომეტრამდე და 1 აგვისტომდე მოგროვონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 30 ტონა ლითონის ჯართი.

ამ ვალდებულებებს თბილისელი მეელმავლეები წარმატებით ანაღდებენ. ბათ უკვე გადაიყვანეს მრავალი მძიმე წონის მატარებელი, ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 47.420 ტონა სახელმწიფო ტვირთი, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჯართის ჩაბარების ვალდებულება.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ელექტრომავალთა წარჩინებულ მემანქანეებს გრიგოლ და გენადი ბოგვერაძეებს, ანიორან ბატაკუაშვილს და სხვებს.

შეჯიბრება ბაქოელ მეორთქლმავლეებთან

თბილისის სარკინიგზო დეპოს კოლექტივმა მიმდინარე წლის 6 თვის დავალება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. დეპოს მოწინავე მემანქანეებმა ამ ხნის განმავლობაში გადაიყვანეს 61 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 11.400 ტონამდე ტვირთი.

რკინიგზელის დღის ღირსეულად შეხვედრისათვის მეორთქლმავლეებმა უფრო გააძლიერეს შუამაბის ტემპი. მათ იანვრის 1 აგვისტოსათვის გადაიყვანონ 50 მძიმე წონის მატარებელი, ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენა გაზარდონ სამი კილომეტრით, ხოლო ტექნიკური სიჩქარე საათში ერთი კილომეტრით, აწევითი რემონტიდან გეგმის გადამეტებით ჩქაროსნული მეთოდით გამოუშვან 1 ორთქლმავალი, გარეცხვითი რემონტიდან — 16 ორთქლმავალი და ამასთან შეამცირონ ორთქლმავლების რემონტში დგომის დრო.

მეორთქლმავლეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ დეპოს მემანქანეები ა. ნუნუანი, ს. შენგელია და ნ. პეტრენკო. მარტო ივნისში მეორთქლმავლეებმა გადაიყვანეს 23 მძიმე წონის მატარებელი.

რკინიგზელის საკავშირო დღისათვის უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ბაქოელ თანამოძმეებთან.

ბორჯომელმა მევაგონეებმა გეგმები ვადამდე შეასრულეს

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზელის საკავშირო დღისათვის მზადების პერიოდში ბორჯომელმა მევაგონეებმა გადაჭრით გაუუმჯობესეს მუშაობა, უზრუნველყვეს ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულება და ახლა ისისათვის იბრძვიან, რომ 1 აგვისტომდე, რკინიგზელის დღისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ გადიდებული საწარმოო ვალდებულებები.

მიმდინარე წლის მარტო ხუთ თვეში ბორჯომის სავაგონო პუნქტის კოლექტივმა ვაგონების საშენი მასალების ხარჯვაში ეკონომიის გზით სახელმწიფოს დაუზოგა 40.000 მანეთის ხე-ტყე, საღებავი და სხვა მასალა.

საგარეჯოს რაიონი. სურათებზე: (მარცხნივ) საგარეჯოს მტს-ის კომკავშირელი კომბაინერის ფიოო ქვრივიშვილის აგრეგატი მოსავლის აღებაზე სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის“ ყანაში. იგი ყოველდღიურად 20 ჰექტარს მკის და თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერ პურს ლეწავს. ზევით — ფ. ქვრივიშვილი. მარჯვნივ — ახალი მოსავლის პურის მომზადება სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიული ცხოვრება

როცა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის არ ზრუნავენ

საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის კოლმეურნეობა 1940 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. ეს სპეციალური უფლება კოლმეურნეობამ ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებით მოიპოვა.

კოლმეურნეობაში ახლაც წამყვან კულტურად ვაზი ითვლება. აქ 50 ჰექტარამდე მსხმოიარე ვენახი აქვთ. ვენახის კარგი მოვლით თავი გამოიჩინა კოლმეურნე მ. ლურსმანაშვილმა. იგი გასულ წელს 0,4 ჰექტარ ვენახს უვლიდა. ვაზის საუცხოო მოვლით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით მ. ლურსმანაშვილმა მოსავლად მიჩენილ ნაკვეთზე 82,7 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა და პრემია-დანამატად 10,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო. აგროტექნიკური წესებისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებით ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს კოლმეურნეებმა პ. ზამბახიძემ და ვ. ქველაძემ. მათ ერთიორად და უფრო მეტად გაადიდეს ყურძნის მოსავალი.

ეს მაგალითი საუკეთესო მასალას აძლევდა კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ორგანიზაციას იმისათვის, რომ განეზოგადებინათ და ფართოდ გავრცელებინათ ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატების მდიდარი გამოცდილება, ყველა კოლმეურნის კუთვნილებად გაეხადათ იგი. სამწუხაროდ, ეს კეთილშობილური და აუცილებელი საქმე არავის გახსენებია. პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი გ. გელბახიანი) ერთხელაც არ დაუყენებია საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა-გავრცელების საკითხი.

ან ავიღოთ მეხოსტნეობა. შარშან აქ ერთ ჰექტარზე ჰქონდათ კომბოსტო, რომელსაც ბრიგადირი ა. გურული, კოლმეურნეები თ. მოსიაშვილი და მ. სუთიძე უვლიდნენ. ნიადაგის სანიმუშო დამუშავებითა და წესიერი მოვლით მათ ჰექტარზე 98 ცენტნერის ნაცვლად 245 ცენტნერი კომბოსტო მოიყვანეს, რაც სარეკორდო მოსავალია რაიონისათვის.

არც კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას და არც გამგეობას დღემდე არ უფიქრიათ მოწინავე მებოსტნეთა გამოცდილების განზოგადებაზე. საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელება კოლმეურნეობის აგიტატორებმაც დაივიწყეს. აგიტატორ შ. კუჭაშვილსაც კი, რომელსაც კოლმეურნეობაში მოწინავედ თვლიან, კრინტი არ დაუძრავს უხვი მოსავლის ოსტატების გამოცდილების გავრცელება-განზოგადებაზე. ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის დაკვიწყებითაც აიხსნება, რომ სხვიტორის კოლმეურნეობა ვერ ასრულებს ყურძნის, მარცვლეულის, ბოსტნეულის საშუალო მოსავლის გეგმას.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია თითქმის არაფერს არ აკეთებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, მისი შედეგების აღრიცხვისა და საჯაროობისათვის. გასულ წელს ფორმალურად იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და რგოლებს შორის. წამახალისებელ ღონისძიებათა გამოყენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აქ დიდი ხანია ხმარებიდან გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დაფა.

პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ უმსჯელია სოციალისტური შეჯიბრების საკითხზე. თვით კოლმეურნეობა შარშან სოფელ მერჯევის კოლმეურნეობას ეჯიბრებოდა. მაგრამ არავინ იცის ვინ გაიმარჯვა შეჯიბრებაში, რადგან რაიონულ ჟურნალ არ შეუჯამებია სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სოფელ სხვიტორის კოლმეურნეობა და მისი პარტიული ორგანიზაცია გამონაკლისი როდია. სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების საკითხები მივიწყებულია რაიონის სხვა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მიერაც. ამ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომი. საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვის საკითხებს სუსტად აშუქებს რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით“.

საჩხერის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობისა-თვის, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვისათვის, რადგან ეს უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

პ. ჟიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია

გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის კოლექტივმა შარშან დავალება ვერ გაანაღდა, სამშობლოს დააკლო ასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი და საწარმოო ფართობი.

მშენებლობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ა. აბულაძე) ღრმად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები. პარტიულმა საკითხი პარტიულ კრებაზე დააყენა. კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს მესამე სამშენებლო უბნის კოლექტივი, რომელიც დავალებას სანახევროდაც ვერ ასრულებდა, ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ბევრ სამშენებლო ობიექტზე ირღვეოდა ტექნიკური წესები, ძალიან უხარისხოდ სრულდებოდა სადურგლო სამუშაოები.

კრებამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. პარტბიურომ დადგენილების შესრულებისათვის დარაზმა ყველა კომუნისტი, საქმეში ჩაება უპარტიო ამხანაგებიც და მდგომარეობა გამოასწორა.

წელს გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლებს გაცილებით უფრო დიდი ამოცანები აკისრიათ. მათ უნდა აითვისონ 45 მილიონი მანეთი და საექსპლოატაციოდ გადასცენ 10.400 კვადრატული მეტრი ფართობი. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას, დარაზმა კომუნისტები, აამაღლა მშენებელთა შრომითი აქტივობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი სამშენებლო უბანი (უფროსი — ინჟინერი გ. ჯანდიერი). კომუნისტეები — დურგალი ვ. პოლიჩენკო, დამხმარე მუშათა ბრიგადის ბრიგადირი ქ. მარკინა და სხვები ნორმებს ორმაგად ანაღდებენ. მშენებელთა შორის პირველად ამ უბნის კოლექტივმა დაიწყო ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობა მოსკოველთა მაგალითისამებრ. მშენებელთა შორის ნაყოფიერად მუშაობენ აგიტატორები. ისინი მშენებლებს გულდასმით აცნობენ შრომის მოწინავე მეთოდებს. აგიტატორები — სამხერხაო საამქროს ოსტატი გ. მაღალაშვილი, დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელი კ. პოლიჩენკო, ორასოვანი მექანიკოსტორე ი. ცერაძე და სხვები ცოცხალი და დამაჯერებელი საუბრებით იპყრობენ მშენებელთა ყურადღებას და რაზმავენ მათ ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად.

მაგრამ შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელების, მოწინავე მშენებელთა გამოცდილების დანერგვის საქმეში პარტბიუროს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. მშენებლობის საქმეს უთუოდ წინ წასწევდა აქაური ხარატის ს. დენისოვის, კალატოზის მ. შელოვის, ქვისმთლელი მუშის ზ. ვალიშვილის, ხის დამუშავების ოსტატების ნ. სეხნიაშვილის, ვ. ისმაილაშვილის და სხვების შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ განზოგადება და გავრცელება. პარტბიუროს მიაჩნია, რომ ეს პროფკავშირული ორგანიზაციის საქმეა, მშენებლობის პროფორგანიზაცია კი უმოქმედობას იჩენს.

მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია მუშაობის ყველა უბანს უნდა სწვდეოდეს, რაზმავდეს მასებს სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ი. თევდორაშვილი.

კომუნისტების მაღალი აქტივობა

სოფელ ხიდისთავის (გორის რაიონი) მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არ არის ისეთი კომუნისტი, რომელსაც არ ჰქონდეს ზიცემული მუდმივი ან დროებითი საზოგადოებრივი დავალება. პარტბიურო სისტემატურად ამოწმებს და ეხმარება კომუნისტებს დავალებების შესრულებაში.

კოლმეურნეობაში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ დარგად საზოგადოებრივი მეცხოველეობა ითვლებოდა. პარტბიუროს დავალებით კომუნისტების ერთმა ჯგუფმა ღრმად შეისწავლა მეურნეობის ამ დარგის ჩამორჩენის მიზეზები, რომელთა შესახებ პარტიულმა კრებამ საქმიანად იმსჯელა. პარტბიუროს მეძროხეობის ფერმაში წყველავად გაგზავნა კომუნისტი სოფიო ტლაშაძე. მანამდე ის მემინდვრეობის ბრიგადაში მუშაობდა. ს. ტლაშაძემ, რომელიც 15 ძროხას უვლის და ნამატს მთლიანად ინარჩუნებს, შარშანდელთან შედარებით წელს თვითეულ საფურაეე ძროხაზე წველადობა ორჯერ გაზარდა. ახლა პარტბიუროო ამ მოწინავე მწველავის გამოცდილებას ფართოდ ადარცელებს ფერმაში. კომუნისტების წინადადებათა საფუძველზე კოლმეურნეობის გამგეობამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა ძროხების ჯიშთა გასაუმჯობესებლად.

მაისში პარტიულმა კრებამ იმსჯელა მემინდვრეობის მეექვსე ბრიგადის პარტიული ჯგუფის მუშაობის შესახებ. ამ დროს ეს ბრიგადა ჩამორჩებოდა მინდვრის სამუშაოებში. საკითხის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა გ. ლაშკარაშვილმა, ე. აბრამიძემ, ს. კოკუზაშვილმა და სხვებმა. მათ შეიტანეს საქმიანი წინადადებები მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის. კრებამ მიიღო კონკრეტული დადგენილება, რის საფუძველზე პარტიულმა ჯგუფმა მუშაობა გარდაქმნა, ბრიგადამ თავი დააღწია ჩამორჩენას.

კომუნისტები ე. დაღელაშვილი, ზ. კოკუზაშვილი და სხვები, რომლებიც საქმიანად მონაწილეობენ პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, დაწინაურდნენ რგოლების ხელმძღვანელად. შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან კომუნისტები შ. ტლაშაძე, თ. კარიჭაშვილი, მეაბრეშუმე ლიზა ედილაშვილი და სხვები.

ახლა ჩვენი საბრძოლო ამოცანაა კიდევ უფრო ავამაღლოთ კომუნისტების აქტივობა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში.

ს. სვიანაძე,
გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

ძირეული პრესის მიმოხილვა

რავომ არ კითხულობენ კოლმეურნეები თავიანთ კედლის გაზეთს

როცა კაჩრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის „მოწინავე კოლმეურნის“ ახალი სარედაქციო კოლეგია აირჩიეს, ჩალაუბნელი კოლმეურნეები ფიქრობდნენ, ახლა მაინც მიბმიდველი და საინტერესო გახდება ჩვენი კედლის გაზეთიო; მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ახალი რედაქტორი ილო დოიაშვილი და რედკოლეგიის წევრები თავიდანვე უხალისოდ შეუდგნენ მუტად პასუხსაგებ საქმეს. უინტერესო, უშინაარსო კედლის გაზეთი თავიდანვე გაითიშა მკითხველებისაგან. ახლა მხოლოდ ცერად გადადადევენ მას კოლმეურნეები, ხელს ჩაიქნევენ და გზას განაგრძობენ...

წელს კედლის გაზეთის ხუთი ნომერი გამოვიდა. მათში სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოთავსებულია ხუთიოოდე წერილი და ისინიც მიძღვნილია მხოლოდ კოლმეურნეობის საქმიანობის ქება-დიდებისადმი. ამ წერილების ნიხელვით თითქოს კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა.

თუ კოლმეურნეობის ვეტექნიმის მანია ტუხაშვილის წერილს „ნოწინავე მწყემსები“ დაუჯერებთ, კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში და კერძოდ № 2 ბრიგადაში მუშაობა კარგად არის დაყენებული. ნამდვილად კი მეძროხეობის ფერმაში და განსაკუთრებით № 2 ბრიგადაში ანტისანიტარული მდგომარეობაა, ძალზე დაბალია წველადობა, მოვლელები და წყემსები ცუდად უვლიან პირუტყვს. წერილის ავტორი ამტკიცებს, ბრიგადის ძროხების საუკეთესო მოვლელები ჰყავს და ძროხების უმრავლესობა მაღალპროდუქტიულიაო. ნამდვილად კი 9 ძროხამ დღეში მხოლოდ 9 ლიტრი რძე მოიწველა. № 2 ბრიგადის ბრიგადირს ნ. გზირიშვილს, რომელსაც კედლის გაზეთმა მოწონება იარლიყი მიაკრა, ფერმაში პროდუქტიულობის შემცირებისათვის, პირუტყვის სიკვდილიანობისათვის პარტიულმა კრებამ სასჯელი დაადო.

მეძროხეობის ფერმის გამგის და ზოგიერთი უფროსის მწყემსის შესაქებად ტუხაშვილი მარტო ერთ წერილს როდი დასჯერდა. კედლის გაზეთის მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილითაც მაღალი შეფასება მისცა № 2 ბრიგადას.

საინტერესოა, რათ სჯირდება ყოველივე ეს ვეტექიმს? გვერდს რათ უვლის ჩამორჩენას, რატომ არ ამჩილებს ნაკლოვანებებს? განა უკეთესი არ იყო მ. ტუხაშვილს გაეკრიტიკებინა კოლმეურნეობის გამგეობა, რომელიც აჭიანურებს მეძროხეობის ტიპური ბინის მშენებლობას, არ ზრუნავს პირუტყვის საკვების მომარაგებისათვის, ნამატის შენარჩუნებისათვის.

უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს კედლის გაზეთის მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომლის ავტორია № 6 მებაღეობა-მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი გ. ღვინიაშვილი. იგი აშკარად თვითრეკლამას გაუტაცნია, რადგან თავისი ავტორიტეტის ამაღლების ნიზნით ცამდე აჰყავს ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს. წერილში მთლიანად ბრიგადის „საქმიან“ და „ენერგიულ“ მუშაობაზეა ლაპარაკი. ნამდვილად კი ბრიგადაში ყველაფერი რიგზე არ არის. როცა მაისში კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა მევენახეობა-მებაღეობის იქ ბრიგადის მუშაობა, რომელსაც გ. ღვინიაშვილი ხელმძღვანელობს, გამოირკვა, რომ ბრიგადაში ჩაშლილი ყოფილა მუშაობა, დაუმუშავებელი ჰქონიათ ვენახები და ბაღები, არ ჩაუყრიათ ახალი ვაზი, ვენახში მავთულები დასაპრმავი დარჩენიათ, ბრიგადის წევრთა ერთი მესამედი საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობდა.

ეს ყველაფერი ხდება კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროს თვალწინ, მაგრამ პარტბიუროს წევრები რატომღაც დუმან. თუმცა ეს გასაკვირველი არ არის, რადგან არც პარტბიუროს მდივანი ი. ფრიდონაშვილი, არც პარტბიუროს წევრები კედლის გაზეთს არ კითხულობენ. პარტბიუროო ერთხელაც არ დაინტერესებულა კედლის გაზეთის რედკოლეგიის საქმიანობით.

ზ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭიათურაში

ახალი მშენებლობები

ე. ნინოშვილის ქუჩაზე მთავრდება საშუალო სკოლის ახალი შენობის აგება. აქ ერთ ცვლად 440 ბავშვი ისწავლის. სკოლას ექნება სასპორტო დარბაზი, ლაბორატორიები. სკოლის მშენებლობაზე 3.240.000 მანეთი იხარჯება. ახალმა სკოლამ მოსწავლეები პირველ სექტემბერს უნდა მიიღოს.

ქალაქის ცენტრში დასასრულს უახლოვდება მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, სადაც ტრესტის ყველა განყოფილება მოთავსდება. მშენებლობა 3.200.000 მანეთი ჯდება. იგი ჭიათურაში ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება.

მაღაროელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ი. ბ. სტალინის ქუჩაზე დაიწყო ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელზეც 4.900.000 მანეთი დაიხარჯება. საავადმყოფოს ექნება მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი კაბინეტები და ლაბორატორიები.

მაღაროელთა დასვენება

წელს ათასზე მეტი მაღაროელი დაისვენებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. 250-ზე მეტმა მაღაროელმა უკვე დაისვენა წყალტუბოში, ბორჯომში, ქობულეთში, გაგრაში, ყირიმში და სხვა კურორტებზე.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტ კვერეთში აშენდა მაღაროელთა კარგად მოწყობილი დასასვენებელი სახლი, სადაც ერთდროულად 120 კაცი დაისვენებს.

მოგზურალთა ანსამბლი

ქალაქის კულტურის სახლთან შეიქმნა მომღერალთა ანსამბლი, რომელიც 120 კაცს აერთიანებს. მას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი მ. სებუა. ანსამბლი წარმატებით ემზადება მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის.

პიონერთა ბანაკი

მარგანეცის ქალაქის მახლობლად სოფელ პერევისაში გაიხსნა მ. გორკის სახელობის პიონერთა ბანაკი, სადაც სამასზე მეტი პიონერი დაისვენებს. აქ პირველ რიგში მაღაროელთა და ფრონტზე დაღუპულ მებრძოლთა შვილები ისვენებენ.

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში

ხაშურის რაიონის მშრომელები სერიოზულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს. კოლმეურნე გლეხობა ენერგიის დაუზოგავად იბრძვის მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. კოლმეურნეობებში წელს უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

კოლმეურნეობებს სათოხნი კულტურების დამუშავებაში კარგად ეხმარებიან გომის მტს-ი, მისი მექანიზატორები. საუკეთესოდ არის მოვლილი და მშვენიერი სანახავია სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდი, რომელიც 268 ჰექტარზეა გადაჭიმული. მტს-ის მექანიზატორები სწრაფი ტემპით შეუდგნენ კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის კულტივაციას, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა კოლმეურნეთა შრომა.

მარცვლეულის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ სოფლების ფლევის ანდრეევის სახელობისა და ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. მათ კარგად აქვთ მოწესრიგებული შრომა, სანიმუშოდ უვლიან ნათესებს.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობაში ასე როდია. არის ისეთი კოლმეურნეობები, სადაც სისტემატურად ორდევეა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გადება, სადაც ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ შესდგომიან იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები სახავენ. სამწუხაროდ, ხაშურის რაიონში ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვი არც თუ ისე ცოტაა.

სოფელ წაღვლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაწესებული გეგმები, თავი ვერ დაუღწევიათ მეცხოველეობის პროდუქტიულობაში სამარცხვინო ჩამორჩენისათვის. გასულ წელს აქ გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 3,1 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ასევე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ შაქრის ჭარხლის, სიმინდის და ბოსტნეულის მოსავლიანობაში.

ყველაზე ცუდად ამ კოლმეურნეობაში დაყენებულია შრომის ორგანიზაცია. შრომისუნარიან კოლმეურნეთა დიდი ნაწილი სისტემატურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მემინდვრეობის მეშვიდე ბრიგადაში, რომელშიც 85 კაცი ირიცხება, წელს არც ერთ კოლმეურნეს 25 შრომადღეზე მეტი არა აქვს გამომუშავებული. ამ ბრიგადის პირველ რგოლში (ხელმძღვანელი გ. მიქელაშვილი) 17 კოლმეურნიდან მიმდინარე წლის 5 თვეში თვითეულს 2-დან 15-მდე შრომადღე აქვს გამომუშავებული. ბრიგადებისა და რგოლების ხელმძღვანელები თვითონ იძლევიან შრომის ცუდ მაგალითებს. ამავე ბრიგადის მეორე რგოლის ხელმძღვანელს ა. კილაძეს წელს მხოლოდ 8 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აქ როგორც ყოველთვის, წელსაც არაორგანიზებულად, აგროწესების უხეში დარღვევით სრულდება, სიმინდის პირველი თოხნა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. ჩაშლილია საკვები ჭარხლის თესვის დავალება, ბოსტნეულის დამუშავების გეგმა კი მხოლოდ 10 პროცენტით არის შესრულებული. ასევე ჩამორჩენილია შაქრის ჭარხლისა და საკვები ჭარხლის ნათესების გაფხვიერების სამუშაოები. უგულებელყოფილია მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საქმე. სასილოსე ორმოების მშენებლობა დღემდე არ დაუწყიათ. ვხვდებით თვალსაზრვევის ფაქტებსაც. კოლმეურნეობის გამგეობა ზემდგომ ორგანოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მეცხოველეობის გეგმების შესრულებაზე ყალბ, არასწორ ცნობებს აწვდის.

ანალოგიური მდგომარეობაა აგარების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე გ. ჩოჩიშვილი). აქაც წლების მანძილზე არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმები, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობს. ცუდად არის მოწყობილი ნათესების მოვლა-პატრონობა. მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნისათვის თავს არ იწუხებენ.

ის ფაქტი, რომ გორის რაიონის სოფლმომარაგების გომის საწყობის გამგე ი. ტეხამვილი (რომელიც თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას) ამ კოლმეურნეობის პატრონაზაციის მდივნად მუშაობს და ბრიგადების ხარჯზე აღმრიცხველად არის დაქირავებული, ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, თუ რამდენ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აქ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის გაძღოლას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ დასახელებულ კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებები ახლაც არის. სოფელ ნაბახტევის კოლმეურნეობაში წელს ვერ შეასრულეს ზოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესვის გეგმა. ჩამორჩებიან ბოსტნეულის, სასილოსე სიმინდის და შაქრის ჭარხლის დამუშავებაში. ნათესების დამუშავებისას აგროწესებს არღვევენ.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში ვხვდებით მავნე პრაქტიკას — გათანაბრებას. ეს იმით გამოიხატება, რომ კოლმეურნეებს, მიუხედავად მათ მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა, თანაბრად უწერენ შრომადღეებს. მაგალითად, კოლმეურნეობის შაქრის ჭარხლის ნათესის გაფხვიერებაზე მიმდინარე წლის 5 ივნისს 25 კოლმეურნემ იმუშავა. მათი ნამუშევარი შეჯამეს, შემდეგ გაჰყვეს 25-ზე და შრომადღეები თვითეულს თანაბრად დაუწერეს. მუშაობის ეს მავნე, დაგმობილი პრაქტიკა ზიანს აყენებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობას, მუშაობის სტიმულს უკარგავს მოწინავე კოლმეურნეებს.

მალე დაიწყება პურეულის მოსავლის აღება. ამ პასუხსაგები საქმისათვის კოლმეურნეობაში ჯერაც არ შესდგომიან მზადებას. საკმაო რაოდენობით არა აქვთ წვრილი ინვენტარი, ტომრები. მოსავლის აღების გეგმის შედგენაზეც არ უფიქრიათ.

სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობაში უგულებელყოფილია ნათესებისა და ვენახის მოვლა-პატრონობა, არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. შრომის არასწორად მოწყობის შედეგად კოლმეურნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი კოლმეურნეობის ნათესებსა და ვენახში სამუშაოდ მხოლოდ მაშინ გადის, როცა საკუთარ ნაკვეთებში მუშაობას ამთავრებს.

მარცვლეული და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენდნენ და იჩენენ ამ რაიონის სოფლების იტრიის, ცვედნის, ოძისის, ცხრამუხის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში, რომლებიც წლების მანძილზე თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას. დასახელებულ კოლმეურნეობებში წელსაც მოუწესრიგებელია შრომა, უგულებელყოფენ აგროწესებს, არ უვლიან ნათესებს, არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის.

იმ სერიოზული სამეურნეო ჩამორჩენის მთავარი მიზეზი, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ის არის, რომ ამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მივიწყებულია პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა. ცალკეულ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები არ იბრძვიან ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, არ ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს, კოლმეურნეებს საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობაში, ივიწყებენ პარტიის მითითებას იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას.

სოფელ წაღვლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი გ. მაჭარაშვილი) პარტიული მუშაობა მთლიანად ჩაშლილია.

ამ ორგანიზაციაში პარტბიუროს სხდომები არ იმართება. პარტიულ კრებებზე არ ისმენენ საკოლმეურნეო წარმოების საკითხებს. კოლმეურნეობის ბრიგადებსა და ფერმებში თვეების მანძილზე არ ეწყობა საგიტაციო საუბრები.

— ჩვენს ორგანიზაციაში გაერთიანებულ კომუნისტებს, — განაცხადა პარტბიუროს მდივანმა, — პარტიულ დავალებებს იმიტომ არ ვაძლევთ, რომ დაბალი ცოდნისა არიან და ვერ შეძლებენ დავალების შესრულებას. უფრო მეტიც, პარტბიუროს მდივანმა გ. მაჭარაშვილმა ესიც კი არ იცოდა, თუ პარტიულ კრებას, რომელიც 27 ივნისისათვის იყო დანიშნული, რა საკითხი უნდა განეხილა.

ცუდად არის დაყენებული პარტიული მუშაობა სოფელ ნაბახტევის კოლმეურნეობაშიც. პარტიული ორგანიზაცია [illegible] ნაკლებ მაწყვეტილი არიან საკოლმეურნეო ცხოვრებას. პარტორგანიზაციის მდივანს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, თუ რა ხდება კოლმეურნეობაში, როგორ მიმდინარეობს ნათესების მოვლა-პატრონობა, როგორ ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. ისიც არ იცის, თუ რამდენი შრომისუნარიანი წევრი ირიცხება კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია. პარტორგანიზაცია და მისი მდივანი უკან მისჩანჩალებს მოვლენებს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თითქმის ყველა იმ კოლმეურნეობაში, რომელთა სამეურნეო ჩამორჩენა აღნიშნულია ამ წერილში.

პარტიის ხაშურის რაიკომი კი ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს. პარტიის რაიკომის მუშაკები ზმვიათად თუ მეფივლიან ამ კოლმეურნეობებში და მაშინაც არ ინტერესდებიან პარტიული ორგანიზაციების საქმიანობით, საფუძვლიანად არ სწავლობენ მათს მუშაობას, ადგილზე საქმიანად არ ეხმარებიან ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

პარტია მიგვითითებს, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ადამიანებთან, ვიდრე ძლიერ კოლმეურნეობებში, და აქ უმთავრესია ინდივიდუალური მუშაობა, რათა დღეს ჩამორჩენილი ადამიანები სუსტ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის გადალახვისათვის აქტიური მებრძოლები გავხადოთ. უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები, რომ მხოლოდ მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით შეიძლება გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობის, ყველა კოლმეურნის კეთილდღეობა.

სამწუხაროდ, ხაშურის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები იგიწყებენ პარტიის ამ მითითებას. განსაკუთრებით უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკოლმეურნეო კადრების, კერძოდ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევის საქმეს.

წაღვლის კოლმეურნეობაში პარტიის ხაშურის რაიკომის რეკომენდაციით ჯერ კიდევ ადრე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა დ. მაჭარაშვილი, რომელიც მუშაობის ჩაშლისა და დანაშაულებრივი მოქმედებისათვის საერთო კრების მიერ მოხსნილი იქნა თანამდებობიდან. ამის შემდეგ მაჭარაშვილს მისცეს რეკომენდაცია და ვითომდა საქმის „გამოსასწორებლად“ სოფელ ოძისის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გაგზავნეს. ის ამჟამადაც ოძისის კოლმეურნეობაში მუშაობს. ეს კოლმეურნეობა კი კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩება. უკანასკნელად სოფელ წაღვლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე პარტიის რაიკომმა რეკომენდაცია მისცა ვ. ნოზაძეს, რომელიც ამ კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყებამდე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული. აღსანიშნავია, რომ ვ. ნოზაძე ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ საკოლმეურნეო წესდების უხეში დარღვევით აირჩიეს. ის კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ უკეთ უნდა იმუშაოს

ახალგაზრდა მექანიზატორს გიგლა რუხაძეს, რომელიც სოფელ მუხიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდს თესავდა, მოულოდნელად ტრაქტორი დაუზიანდა.

— ალბათ უკანა ხიდმა მიმტყუნა, — მაშინვე მიხვდა ტრაქტორისტი მანქანის „ტკივილს".

გიგლა სოფლის შარაგზაზე გამოვიდა და მტს-ისაკენ მიმავალ მანქანას გაჰყვა. მტს-ის შესასვლელთან მან თვალი მოჰკრა განცხადებას, რომელიც იუწყებოდა: დღეს, საღამოს 8 საათზე სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა შედგებაო. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი — სატრაქტორო პარკის მუშაობის შესახებ.

— ამხანაგო ევგენი, უკანა ხიდის დაზიანების გამო ჩემი ტრაქტორი დადგა. როგორც იცით, ამ ნაწილის ადგილზე ჩამოსხმა შეუძლებელია. საჭიროა სასწრაფო ზომები! — კატეგორიულად დაუსვა საკითხი გიგლამ წყალტუბოს რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ე. თავშავაძეს, რომელიც მტს-ის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკია.

თავმჯდომარე წუთით ჩაფიქრდა, საათს დახედა, სხდომამდე კარგა ხანი იყო დარჩენილი. სასწრაფოდ გამოიძახა მანქანა. „გლავმაშსბიტის" ქუთაისის კანტორაში სხვა საქმეებიც ჰქონდა მოსაგვარებელი.

მრავალი საჭირო ნაწილი იქნა წამოღებული მტს-ისათვის. უკანა ხიდების მისაღებად, რომლებიც იქ არ აღმოჩნდა, სასწრაფოდ გაგზავნეს დეპეშა თბილისში.

მოსაღამოვდა. კომისიის წევრებს გარდა მტს-ში შეიკრიბნენ მექანიზატორები. სხდომაზე კონკრეტულად ითქვა იმ ღონისძიებების შესახებ, რაც საჭირო იყო მტს-ის ოცდარვავე ტრაქტორის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას სპრძოლო ამოცანად აქვს დასახული — აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაჩაღებულ მუშაობაში.

შარშანდელთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებში წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალი ტემპით მიმდინარეობს. მინდვრად დაუგვიანებლივ გაიტანეს 12 ათასი ტონა სასუქი, დაამზადეს ნახევარ მილიონზე მეტი ტორფნეშომპალის ქოთანი, საიდანაც გამოყვანილი და ღია გრუნტში გადატანილია 437 ათასი პამიდორის, 28 ათასი კომბოსტოს, 26 ათასი კიტრის, 19 ათასი წიწაკის ჩითილი.

რაიონში ჩაის წამყვანი ადგილი უჭირავს. მის პლანტაციებს ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. აღსანიშნავია, რომ მუდმივმა კომისიამ ჯერ კიდევ 9 მარტს განიხილა პლანტაციებში ნიადაგის დამუშავების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში არსებულ მეტად სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

წყალტუბოელი მეჩაიეები აწკამად სწრაფი ტემპით კრეფენ ჩაის ფოთოლს. კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდა გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარეა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრი შ. ჩაფჩიძე. ეს კოლმეურნეობა სამაგალითოა მთელ რაიონში.

რაიონის კოლმეურნეობებმა დროზე დაამთავრეს 6.100 ჰექტარი სიმინდის დათესვა. მაგრამ აქედან მცირე ნაწილია დათესილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ამაში ბრალი მიუძღვის მუდმივ კომისიასაც, რომელმაც თავიდანვე არ მიაქცია ყურადღება აღნიშნულ საქმეს.

სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას მუშაობაში სხვა მრავალი ნაკლიც აქვს. კომისიის წევრთა ერთი ნაწილი აშკარად უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ საქმეს. მაგალითად, დეპუტატებს ი. შვანგირაძეს, ჯ. კიწურაშვილს და სხვებს თითქმის არაფერი აქვთ გაკეთებული.

კომისიას სუსტი კავშირი აქვს აქტივთან. ამას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ კომისიაში გაერთიანებულ აქტივისტთა რიცხვი მხოლოდ 7 კაცით განისაზღვრება.

კომისიის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მეცხოველეობას. ხოლო ეს დარგი რაიონში მეტად ჩამორჩენილია.

წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრთა საპატიო საქმეა აქტივის ფართოდ გამოყენებით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და უკეთესად წარმართონ მუშაობა.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე"

ამ სათაურით „კომუნისტის" 13 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. სიხარულიძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. ბაზრების მუშაობის საკითხი განიხილეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ბაზრებში აღმოჩენილი დარღვევების გამო სამუშაოდან მოხსნილ იქნენ ვეტექიმები: ანდრონიკაშვილი, მესხიძე, ერისთავი (სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი), მიკირტჩიანი (ქირის სახელობის რაიონის გადახურული საკოლმეურნეო ბაზარი), სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი, სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ნუშაკი წულუკიძე და 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი ოგანესიანი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოაწყო თბილისის ბაზრების მუშაკთა საქალაქო თათბირი და დასახა ღონისძიებანი წერილში მოყვანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეისწავლა აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრებში კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ თბილისის კოოპერაციულმა ვაჭრობამ ვერ უზრუნველყო აღმასკომის მიერ გასული წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, რის გამო ის ჯერ კიდევ სათანადო მომსახურებას ვერ უწევს ქალაქის მოსახლეობას.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები თბილისში

საბჭოთა კავშირის სიამაყე — მოსკოვის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრი („მხატ") წელს საგასტროლოდ იმყოფებოდა ოდესასა და ლვოვში.

გასტროლების დამთავრების შემდეგ თეატრის კოლექტივის ერთი ჯგუფი ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს რესპუბლიკას. ჯგუფის შემადგენლობაში არიან სახელოვანი მსახიობები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. გრიბოვი, რსფსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. ბოგოლიუბოვი, ა. ზუევა, ი. კუდრიავცევი, რსფსრ დამსახურებული არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ბელოკუროვი, ვ. გრიბკოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ბენდინა, რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. გოშევა, მსახიობები ლ. კოშუკოვა, რ. ფერტმანი, ვ. დმსკი და ი. ლაკშინი. მათ კონცერტები გამართეს გაგრაში, სოხუმსა და ბათუმში.

— ბუშინ მოსკოველი მსახიობები ბათუმიდან თბილისს ჩამოვიდნენ. სადგურზე მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ჩვენი დედაქალაქის თეატრების წარმომადგენლებმა, ფილარმონიის მსახიობებმა, მშრომელებმა. სტუმრებს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

ბუშინ საღამოსვე ფილარმონიის ბაღის ღია ესტრადაზე სტუმრებმა გამართეს პირველი კონცერტი.

გაგრის ფილარმონიისა 18 ივლისამდე მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები კონცერტებს გამართავენ თბილისის სანაპიროზე პარკში და საკონცერტო შესრულებით მაყურებელს უჩვენებენ სცენებს სპექტაკლებიდან: ნ. გოგოლის „მკვდარი სულები", ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები", ნ. ოსტროვსკის „ქარიშხალი", გორკის „ხალხში", აჩვენებენ ჩეხოვის მოთხრობათა ინსცენირებას და სხვ.

სურათზე: მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები თბილისის ვაგზალში.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით

დღეს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში იწყება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები.

ჩვენი თეატრის კოლექტივი უკვე მესამედ ეტუმრა დედაქალაქს და, როგორც ყოველთვის, ახლაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და სიხარულის გრძნობით მოელის დედაქალაქის მაღალმომთხოვნ მაყურებელთან შეხვედრას.

პირველ წარმოდგენად თეატრი მაყურებელს უჩვენებს მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის, ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის — ნაზიმ ჰიკმეთის შესანიშნავ დრამატულ პოემას — „ლეგენდა სიყვარულზე", რომელიც ქართულად თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ. ეს ნაწარმოები მეტად რთულია სცენიური განსახიერებისათვის, რაც კოლექტივის წინაშე პასუხსაგებ ამოცანებს სახავდა.

მეორე წარმოდგენად ნაჩვენები იქნება მიხეილ მრეველიშვილის ცნობილი პიესა „ნ. ბარათაშვილი", რომელსაც წინ უძღვის სპეციალურად ჩვენი თეატრისათვის დაწერილი პროლოგი. მასში მაყურებელი ქართულ სცენაზე პირველად ნახავს დიდ მოღვაწეს, მოაზროვნესა და მწერალს ილია ჭავჭავაძეს.

რუსული კლასიკური მემკვიდრეობიდან თეატრი მაყურებელს უჩვენებს ა. ოსტროვსკის პიესას „უდანაშაულო დამნაშავენი". რეპერტუარში არის ფრანგული კომედია — დიუმანუას და დენიერის „დონ სეზარ დე ბაზანი" — (თარგმანი პ. გრუზინსკისა), რომლის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორ გ. პატარაიას.

თანამედროვე პიესებიდან თეატრი მაყურებელს უჩვენებს თავის ოთხ საუკეთესო დადგმას: სტალინური პრემიის ლაურეატის მუხთაროვის „ალანის ოჯახს" (თარგმანი ვ. ნინიძისა), ვ. მინკოს „გვარის დაუსახელებლად" (თარგმანი კ. ბუაჩიძისა), სერგო კლდიაშვილის კომედიას „დღესასწაული საკრეულაში", რომლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ლეო ქედიას, და კიტა ბუაჩიძის ცნობილ კომედიას „მკაცრი ქალიშვილები".

წარმოდგენების მხატვრული და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპაიშვილს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ყაზბეგს, მხატვარ ა. ვერულეიშვილს, სტალინური პრემიის ლაურეატებს კომპოზიტორებს: ალ. მაჭავარიანს, დ. თორაძეს, ს. ცინცაძეს და ახალგაზრდა კომპოზიტორს თ. თევდორაძეს. თეატრი საგასტროლოდ ჩამოვიდა მთლიანი შემადგენლობით. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ლ. ჭედია, ს. გამრეკელი, მ. გაგნიძე, მსახიობები არ. დონაური, ს. ყანჩელი, ო. ოქროპირიძე, ნ. ყიფიანი, ა. სანაძე, ვ. ნეფარიძე, ქ. დოლიძე, თ. ბოლქვაძე, ფ. შედანია, ო. კანდელაკი, თ. მელაძე, ზ. ლაფერაძე, ნ. მიქაშავიძე, ა. მაგრაქველიძე, ვ. ნინიძე, ი. კალანდაძე, ტ. ხორავა, გ. ფოჩხუა, გ. რევაზიშვილი, ა. ბოკუჩავა, მ. გვალია, ვ. სალაყაია, ო. კობერიძე, ი. წერეთელი და სხვები.

ჩვენი კოლექტივი უდიდესი სიხარულის გრძნობით იწყებს თავის საგასტროლო მუშაობას და ღრმა მადლობის გრძნობით მოეკიდება ყველა შენიშვნას, რასაც ჩვენი დედაქალაქის მაყურებელი წაუყენებს ჩვენს წარმოდგენებს, რათა გათვალისწინოს ისინი თავის მომავალ მუშაობაში.

სერგო ჟელიძე,
სოხუმის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სასარგებლო [illegible]

„მარაგის კოეფიციენტების განსაზღვრა მათემატიკური სტატისტიკის [illegible] დებით". ავტორები: პროფ. გ. მუხაძე, დოც. ა. კაკუშაძე. გამომც. „ტექნიკა და შრომა". 1954 წ.

ნაგებობათა ანგარიშის თეორიამ საბჭოთა კავშირში უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ძირითად სამშენებლო კოდექსზე „მშენებლობის სამუშაო დებულებაზე" მუშაობამ. აღნიშნული კოდექსის საფუძველზე შექმნილია ნაგებობათა ანგარიშის ახალი უნიფიცირებული მეთოდი, რომელსაც ზღვრული მდგომარეობის მეთოდი ეწოდება.

ნაგებობათა სიმტკიცის პრობლემასთან ერთად, ზღვრული მდგომარეობის მეთოდის დამუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის განსაზღვრას. აქედან გასაგებია, რომ ნაგებობათა ანგარიშის ამ ახალი მეთოდის დამუშავება შესაძლებელი იყო მხოლოდ მარაგის კოეფიციენტის წინასწარი, საკმარისად სიფუძვლიანი ანალიზისა და დაზუსტების შედეგად. სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის ფრმა მეცნიერული ანალიზი შესაძლოა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძველზე. ამით მიღებულ იქნა მარაგის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი შემცირება და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდა ნაგებობათა უფრო ეკონომიური დაგეგმარება.

ამ თვალსაზრისით პროფესორ გ. მუხაძისა და დოცენტ ა. კაკუშაძის ნაშრომს — „მარაგის კოეფიციენტის განსაზღვრა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით", რაც ახლახან გამოსცა „ტექნიკა და შრომამ", უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

საერთაშორისო შრომის ზოგად ნაწილში მოცემულია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი ცნებანი და დებულებანი, რაც საჭიროა სპეციალური ნაწილის — მარაგის კოეფიციენტის სიდიდის სტატისტიკური მეთოდებით განსაზღვრისათვის. ამ ნაწილში ავტორებს მიზნად დაუსახავთ მკითხველს მისცენ მთლიანი წარმოდგენა სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის სტატისტიკური მეთოდებით განსაზღვრის შესახებ. სპეციალური ნაწილი კი სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს. ამ ნაწილში გაშუქებულია ზოგიერთი სამშენებლო მასალისათვის დიფერენცირებული კოეფიციენტების საფუძველზე ერთიანი მარაგის კოეფიციენტის შემოღების იდეა, რაც პირველად პროფესორ ლ. რეანიცინისა და დოცენტ ა. კაკუშაძის მიერ იქნა წამოყენებული. შრომა მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მასში თავმოყრილია სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის შესახებ არსებული უმდიდრესი თეორიული და ექსპერიმენტულ-კვლევითი მასალა.

შრომის ზოგადი ნაწილი რვა თავისაგან შედგება. ამ ნაწილის შესწავლის შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლევა გამოიყენოს მათემატიკური სტატისტიკის მძლავრი აპარატი ტექნიკის სხვადასხვა დარგში სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის.

სპეციალურ ნაწილს დათმობილი აქვს ორი თავი. აქ განხილულია კონსტრუქციების ანგარიშის ზღვრული მდგომარეობის მეთოდი, ნორმატიული სიდიდეების დადგენა სტატისტიკის მეთოდებით, სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის დაზუსტება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით.

ნაშრომის დადებით ნიხარად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გადმოცემული მასალა ორიგინალურად არის დაგეგმილი, განმარტებულია, რომ მათემატიკური სტატისტიკის ეს მეთოდების შესწავლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა ტექნიკის მეტად პრაქტიკული და ფრიად აქტუალური საკითხის — სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის შესწავლისა და განსაზღვრისათვის.

წიგნის დაყოფა ზოგად და სპეციალურ ნაწილებად სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს. აქ პირველი დაქვემდებარებულია მეორისადმი. მეორე ნაწილი საკმაებით გასაგები ხდება პირველის შესწავლის შემდეგ; აღარ არის საჭირო სხვა ლიტერატურული წყაროების ძებნა და გამოყენება. ამ მხრივ სარეცენზიო შრომა, უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის გადმოცემას ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებისათვის და პრაქტიკულად მომუშავე ინჟინრებისათვის, ვისთვისაც ძირითადად განკუთვნილია ეს წიგნი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წიგნში თავიდან აცილებულია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის აქსიომატური გადმოცემა; სამაგიეროდ, საკითხების თანმიმდევრული გაშუქებისათვის, წიგნი მდიდარია სილუსტრაციო მაგალითებით მათემატიკისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებიდან.

წიგნი დაწერილია გამართული ენაზე ქართულით; იგრძნობა ავტორების ხანგრძლივი, მუყაითი, დაკვირვებული მუშაობა მასალაზე. ავტორებს ბევრი უმუშავნიათ ახალი ტერმინების განმუშავებასა და გამოყენებაზე. ამასთან ყოველი ახალი ტერმინი სათანადო სინონიმებით არის წარმოდგენილი და ზოგჯერ გამეორებით არის ნახმარი სხვადასხვა ნიუანსების გადმოსაცემად. წიგნი შედგენილია პატრიოტული აქცენტით, საბჭოთა მეცნიერებისა და დიდი რუსი მკვლევარების როლის ფართო გაშუქებით და ინტერპრეტაციით. აღსანიშნავია, რომ ავტორებს გამოუყენებია გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის პროფესორ ანდრია რაზმაძის ჩანაწერებიც. აღსანიშნავია გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის" წარმატებითი მუშაობაც წიგნის მოხდენილად გაფორმებასა და გამოცემაში.

წიგნის ღირსება ისაც არის, რომ იგი ახალგაზრდებს ჩაუნერგავს მათემატიკური სტატისტიკის სიყვარულს, გააცნობს მის შინაარსს და გამოყენების დიდ დიაპაზონს — ტექნიკაში, ეკონომიკაში, ბუნებისმეტყველებაში და ა. შ. მაგრამ ყველა ამ ღირსების მიუხედავად, წიგნს ზოგიერთი ნაკლიც აქვს.

სპეციალური ნაწილი მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. მართალია, ავტორები წინასიტყვაობაში აღნიშნავენ, რომ შრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო მესამე ნაწილის გამოცემა მთ ცალკე წიგნად აქვთ გათვალისწინებული, რაც უაღრესად საჭიროა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლებოდა თეორიული მაგალითების მაგიერ მოეცათ სიმტკიცის მარაგის ცალკეული კოეფიციენტების ე. წ. დიფერენცირებული კოეფიციენტების დადგენის მაგალითები. ეს უდავოდ უფრო გაამდიდრებდა სპეციალურ ნაწილს და ამ ნაწილის მოცულობაც გაიზრდებოდა. ასევე კარგი იქნებოდა ზოგიერთი სხვა საშენი მასალის წიგნში გახილულია მხოლოდ ფოლადისა და ბეტონის მასალა), მაგალითად, ქვის და ხის ნორმატიული წინაღობების განსაზღვრის მაგალითების მოყვანა. ამასთან აღსანიშნავია, რომ წიგნში ზოგიერთი აღნიშნული განმარტებული არ არის, რაც უხერხულობას ქმნის (გვ. 7, 33). არის ზოგიერთი სტილისტური შეუსაბამობაც. მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ ამცირებს წიგნის ღირსებას.

ფრიად საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია, რომ შრომის მესამე ნაწილიც — „საინჟინრო ნაგებობათა ტვირთმზარდუნარიანობის განსაზღვრა" ავტორებმა უახლოეს დროში გამოსცენ. ნით უმეტეს, რომ ქართულად ამ საკითხზე ლიტერატურა არ მოიპოვება.

გ. ციხარელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ი. ბერიშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოჩენილი ჩეხი მწერალი

„ნეტავი ათი სიცოცხლე მქონოდა, ყველას ჩეხი ხალხისა და ჩეხ მშრომელთა კეთილდღეობას მოვახმარდი!" — ერთ-ერთ წერილში ასე განსაზღვრა თავისი მიზანი, თავისი შემოქმედების ამოცანები ჩეხური ლიტერატურის კლასიკოსმა იან ნერუდამ.

იან ნერუდა დაიბადა პრაღაში 1834 წელს, ყოფილი ჯარისკაცის ოჯახში. იგი ეზრდებოდა პრაღის ერთ-ერთ დემოკრატიულ რაიონში — „მალასტრანაში", სადაც ესახლნენ ქალაქის მშრომელთა ძალი ფენები და წვრილი ჩეხი ბურჟუაზია. მწერალმა პრაღაში გაატარა თავისი ცხოვრების მეტი წილი.

ნერუდა სწავლობდა გიმნაზიაში, შემდეგ პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას ბევრ დროს ახმარდა ლიტერატურის შესწავლას, ხოლო ორმოცდაათიანი წლების დამლევს პროფესიონალი ლიტერატორი გახდა.

ნერუდას ცხოვრება მშობლიური ხალხისადმი თავდადებული სამსახურია. ნერუდამ გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურის ყველა ჟანრი, შექმნა ჩეხური მოთხრობის, ნარკვევის, სოციალური ბალადის, სამოქალაქო ლირიკის კლასიკური ნიმუშები. იგი აქტიურად თანამშრომლობდა უდიდეს ჩეხურ ჟურნალ-გაზეთებში, დაწერა 2.500-ზე მეტი ნარკვევი, ფელეტონი და სტატია, რომლებშიც გააშუქა ჩეხეთის 50-80-იანი წლების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხები. მისმა კრიტიკულმა სტატიებმა ხელი შეუწყო რეალიზმის დამკვიდრებას ჩეხურ ლიტერატურაში, მუსიკაში, თეატრალურ და სახვითს ხელოვნებაში. „ეპოეტი „ნერუდული" ჩეხეთში არა მარტო უმაღლესი ქებაა, რომელიც შეიძლება მიიღოს პოეტმა, არამედ ნიშნავს აგრეთვე აზრის სიდიადეს და ფორმის სისადავეს და — რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — უსაზღვრო ერთგულებას თავისი ხალხისა და მისი

(იან ნერუდას დაბადების 120 წლისთავის გამო)

ეროვნული კულტურისადმი", — ასე განსაზღვრა ნერუდას შემოქმედების მნიშვნელობა ჩეხური ლიტერატურისათვის გამოჩენილმა ჩეხმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ზ. რ. ნეედლიმ.

პოეტი მოუწოდებდა თავის ხალხს ყვარებოდა სამშობლო ერთგული და ძლიერი სიყვარულით, მტკიცე და მამაცი ყოფილიყო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩეხი ხალხის ბედნიერი და თავისუფალი მომავლისადმი ოპტიმისტური რწმენით, თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლისაკენ მგზნებარე მოწოდებით არის გამსჭვალული ნერუდას ბევრი პოეტური კრებულის ლექსები, განსაკუთრებით „წითელი პარასკევის სიმღერები", რომლებიც პოეტის თავისებური ანდერძია.

ფაშისტური ოკუპაციის დროს წინააღმდეგობის, პარტიზანული ბრძოლის პირდაპირ მოწოდებად გაისმოდა სტრიქონები ნერუდას ლექსისა „მხოლოდ წინ!"; თუ კვლავ ომმა დაიქუხა, ჰუსიტთა ჰიმნი ახალი გაქანებით აყოერდება, რკინის ქვეყანაში ყველაფერი იარაღად გადაიქცევა, სისხლში რკინა დაიწკრიალებს: წინ!

ნერუდას პატრიოტიზმი, მისი მგზნებარე და ერთგული სიყვარული სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი განუყრელად დაკავშირებულია მის დემოკრატიულ შეხედულებებთან. ხალხზე რომ ლაპარაკობდა, მისი ბედნიერებისათვის რომ იბრძოდა, მწერალს ყოველთვის ჰყავდა მხედველობაში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფენები, რადგან მას მიაჩნდა, რომ სწორედ მშრომელები და არა გაბატონებული კლასები წარმოადგენენ ერის საფუძველს, იმ ძალას, რომელიც მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ქმნის.

ნერუდა გარკვევით ხედავდა მისი თანამედროვე საზოგადოების სოციალურ უთანასწორობას და სოციალურ წინააღმდეგობებს. იგი თავის ბევრ ნაწარმოებში მრისხანე პროტესტს აცხადებდა მშრომელთა უუფლებობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მიესალმებოდა რევოლუციას, რომელიც მოსპობს ტირანებს. ნერუდა ამხილებს კაპიტალისტური საზოგადოების წესწყობილებას, სადაც „ერთი ადამიანი მილიონებს აკეთებს, რომ მილიონობით ადამიანმა გროში ვერ მიიღოს". იგი გამოთქვამს დიდმნიშვნელოვან ჯ ერ ისევ ბურჟუაზია არ ზრუნავს ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველაფერი იყიდება — გონება, პატიოსნება, პატრიოტიზმი.

ნერუდამ თავის ნაწარმოებებში შექმნა ჩაგრულ და გაჩანაგებულ ადამიანთა ცოცხალი, მკაფიო, რეალისტური სახეები: იმ ადამიანებისა, რომელთა ხვედრია მძიმე შრომა, სიღატაკე და მწუხარება.

იან ნერუდა, ისევე როგორც მისი დროის ყველა მოწინავე ადამიანი, განირჩევა დიდი სიმპათიითა და დიდი ინტერესით ჩეხი მშრომელებისადმი, მუშათა მოძრაობისადმი. მას არაერთხელ გამოუთქვამს რწმენა, რომ მუშები მიაღწევენ თავიანთ უფლებებს. ჩეხური ლიტერატურის ისტორიაში ნერუდამ პირველად გამოიყენა მუშური ფოლკლორი, რაც მწერლისათვის ერთ-ერთი მხატვრული საშუალება იყო მუშათა ცხოვრების პირობებისა და მათი მსოფლმხედველობის დასახასიათებლად.

1890 წლის 1 მაისს ჩეხი მუშები პირველად გამოვიდნენ საპირველმაისო დემონსტრაციაზე. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ნარკვევში ნერუდა აღტაცებით მიესალმა მუშათა ზატალიონების მტკიცე რკინისებურ სვლას. უაღრესად ღირსშესანიშნავი დღე უწოდა რა 1890 წლის 1 მაისის დღეს, გამოთქვა რწმენა, რომ ორგანიზებული პროლეტარიატი შეცვლის არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სიტუაციას. თავის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ნაწარმოებებში ამხილებდა რა კაპიტალიზმის ექსპლოატატორულ არსს, გამოთქვამდა რა სიმპათიას ჩეხი მშრომელებისადმი, ნერუდა ესწრაფოდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელსაც საფუძვლად უდევს საყოველთაო თანასწორობისა და საყოველთაო თავისუფლების პრინციპი. ამასთანავე მწერალს არ ესმოდა კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, ცოცხლობდა ილუზიებით, რომ შეიძლება თავისუფლება და თანასწორობა მიღწეულ იქნას მშვიდობიანი ჰუმანური გზით, აზვიადებდა განათლების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ბრძოლაში. ეს აიხსნება მწერლის ერთგვარი შეზღუდულობით.

მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში ნერუდა გესლიანად დასცინოდა მეშჩანობას, მის მომხვეჭელობას, უმეცრობასა და დახავსებულობას. ეს თემა აქტუალური იყო გასული საუკუნის ჩეხეთისათვის, სადაც მაშინ პოლიციური რეჟიმი და ეროვნული ჩაგვრა მოდუნებისა და ობივატელობის ატმოსფეროს ქმნიდნენ წვრილბურჟუაზიულ ფენებში. მეშჩანობის კრიტიკა განსაზღვრავს აგრეთვე ნერუდას მოთხრობების ორი უმნიშვნელოვანესი კრებულის — „არაზესკებისა" და „მალოსტრანული მოთხრობების" იდეურ მიზანდასახულობას.

ობივატელებისადმი დაცინვა იქცევა სატირად ბიუროკრატულ აპარატზე, მოხელეთა სამყაროზე, რომელთაც „აზრები მიაჩნდათ სახელმწიფო მონოპოლიად, როგორც მარილი ან თამბაქო", სამყაროზე, სადაც გამეფებულია პირფერობა, მლიქვნელობა, უფროსთა თვითნებობა. „მალოსტრანული მოთხრობები" განირჩევა რეალისტური ხელოვნების პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებით და ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს წარსული საუკუნის ჩეხური პროზის განვითარების მთავარ ტენდენციას.

ჩეხური რეალიზმის ჩამოყალიბებისათვის, კრიტიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნერუდას ესთეტიკურ შეხედულებებს. რეაქციული ჩეხური რომანტიზმის, ჩეხური ბურჟუაზიული ხელოვნების კოსმოპოლიტური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში ნერუდა იცავდა მშობლიური ხალხის დემოკრატიული ეროვნულ-თავისთავადი ხელოვნების პრინციპებს. იგი ამტკიცებდა, რომ მშვენიერის ცნება ლიტერატურასა და ხელოვნებაში უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია ცხოვრების მართალ ასახვასთან, მოითხოვდა მწერლებისაგან გულმოდგინედ შეეწყვალათ საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრება, ეჩვენებინათ მისი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების მთელი უსამართლობა. ასეთი ხელოვნება ემსახურება ხალხის ინტერესებს, იგი არ მოსწონთ მჩაგვრელებს, რომელთაც ეშინიათ მხილებისა და ამიტომ ესთეტიკურ ანათემას უცხადებენ ნამდვილად რეალისტურ ნაწარმოებებს. ამას ამტკიცებს მწერალი თავის სტატიაში „თანამედროვე ადამიანი ხელოვნებაში".

მწერალი იბრძოდა იმისათვის, რომ მხატვარი ყოფილიყო თავისი სამშობლოს მოქალაქე, მოითხოვდა, რომ „პოეტს აღელვებდეს ის იდეები, რომლებითაც პოეტის ეპოქა ცოცხლობს". „...ნეტავი გამაგებინა, — წერდა იგი, — რატომ უნდა იყოს სამშობლო და ხალხი, თანასწორობა და თავისუფლება ნაკლებად პოეტური თემა, ვიდრე გაზაფხული და ტყე, ვარდი და ბულბული, მთვარის შუქი, სიყვარული, მეგობრობა და სხვ. ნამდვილი პოეტური და მშვენიერი შეიძლება იყოს პატრიოტული ლექსიც, პოლიტიკურიც და ყველაზე საჭიროროტოც!"

ნერუდა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ენას, ცდილობდა გამოენახა ხატოვანი და ამავე დროს ზუსტი სიტყვა, რომელიც სწორად გადმოსცემდა ნაწ

ქ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

მიმდინარე წლის ივნისში ბუქარესტში გაიმართა სსრ კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის IV სესია.

სესიამ განიხილა ამ ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მორიგი საკითხები. სესიაზე ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის თანახმად მხარეები შემდგომ სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სპეციალისტების მივლინებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის გზით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის პასუხი ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის კითხვებზე

შანხაი, 8 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

6 ივლისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა პასუხი გასცა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც მას ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა მისცა. ქვემოთ მოგვყავს კითხვები და პასუხი:

კითხვა 1-ლი: რა აზრისა ხართ ბ-ნო პრეზიდენტო, ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხში ჟენევის თათბირის პროგრესისა და თათბირის პერსპექტივების შესახებ?

პასუხი: თუმცა ჟენევის თათბირის პროგრესი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხში დიდი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თათბირმა, რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება მთელი რიგი პრობლემების შესახებ, გზა გაუხსნა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას. ამ საფუძველზე ინდოჩინეთში მშვიდობა შეიძლება აღდგენილ იქნას, თუ მეორე მხარესაც ჩვენსავით გულწრფელად სურს საწარმოოს მოლაპარაკება და ჩვენთან ერთად იხმარს ღონისძიებებს ინდოჩინეთში მშვიდობის აღსადგენად. ჩვენი უარყოფა პოზიციის შესაბამისად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც განაგრძობს ბრძოლას ჩვენი სამშობლოს მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და ერთიანობისათვის. ამავე დროს ჩვენ დიდი სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ ამერიკელი იმპერიალისტების ზრახვებისადმი, რომლებიც ისწრაფვიან ხელი შეუშალონ ჩვენს ორ მხარეს დადონ შეთანხმება დაზავების შესახებ, ისწრაფვიან შექმნან აგრესიული ხასიათის სამხედრო ბლოკი და დაჰყონ აზია დაპირისპირებულ ჯგუფებად, რათა გაიადვილონ აგრესია ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წინააღმდეგ და მათზე გბატონების მიღწევა.

კითხვა მე-2: იქნება ინებოთ, ბ-ნო პრეზიდენტო, და გვითხრათ, რა მნიშვნელობა აქვს ამასწინანდელ ერთობლივ განცხადებას, რომელიც გააკეთეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრებმა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრების ერთობლივ განცხადებას?

პასუხი: ერთობლივ განცხადებას, რომელიც გააკეთეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრების ერთობლივ განცხადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს ორი ერთობლივი განცხადება შეესაბამება მთელი მსოფლიოს ხალხების და განსაკუთრებით აზიის ხალხების მისწრაფებას მშვიდობისადმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ერთობლივი განცხადება, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრების ერთობლივი განცხადება შეიცავენ ხუთ დიდმნიშვნელოვან პრინციპს: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემა; თავდაუსაფრთხოება; ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა; მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდოჩინეთის პრობლემის მოსაწესრიგებლადაც. ვიეტნამელი ხალხი მხურვალედ მიესალმება ამ ორ ერთობლივ განცხადებას და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთობლივი განცხადებანი უეჭველად შეუწყობენ ხელს მშვიდობას აზიაში და მთელ მსოფლიოში.

კითხვა მე-3: საფრანგეთის ეროვნულ კრებაში 17 ივნისს წარმოთქმულ სტატეაში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მენდეს-ფრანსი შეეხო ინდოჩინეთის პრობლემას და თქვა, ინდოჩინეთში ცეცხლი მალე უნდა შეწყდესო. რა აზრისა ხართ, ბ-ნო პრეზიდენტო, ბ-ნ მენდეს-ფრანსის განცხადების შესახებ?

პასუხი: მხურვალედ მივესალმები ბ-ნ მენდეს-ფრანსის მისწრაფებას, მაგრამ უფრო სწრაფად რომ განვახორციელოთ ცეცხლის შეწყვეტა ინდოჩინეთში, უნდა ჩავფუშოთ პოლიტიკა ამერიკელი იმპერიალისტებისა, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ჟენევის თათბირის წარმატებას და ძირი გამოუთხარონ მას.

ულან-ბაგორში გაიხსნა სუხე-ბაგორისა და ჩოიბალსანის აკლდამა

ულან-ბატორი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორში გაიხსნა სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის აკლდამა.

16 საათზე სუხე-ბატორის სახელობის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა აკლდამის გახსნას. მიტინგი გახსნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ. სიტყვები წარმოთქვეს პრემიერ-მინისტრმა ცედენბალმა, ერატა—ძველმა პარტიზანმა სოდნომდარჯამ, მუშამ სანსარაიდორჯიმ, მონღოლეთის არმიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

მიტინგის შემდეგ საარტილერიო სალუტის გრიალში სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის აკლდამა შეამკეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გვირგვინებით. აკლდამა გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულფლებიანმა ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში პისარევმა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა.

ხელი მოაწერეს 1954 წლის სავაჭრო შეთანხმებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის

პეკინი, 9 ივლისი. (საკდესი). სინხუას საააგენტო გადმოგვცემს: 7 ივლისს პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო ვაჭრობის საქმისმინისტრომ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგაჭრო მისიამ ხელი მოაწერეს ოქმს 1954 წელს საქონელგაცვლის შესახებ. ამავე დროს ხელი მოაწერეს ოქმს ორივე ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში ვაჭრობის შესახებ. ორივე დოკუმენტს ხელი მოაწერეს მოლაპარაკების შემდეგ, როშელიც მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში. შეთანხმება ითვალისწინებს ორივე ქვეყანას შორის საქონელგაცვლის მნიშვნელოვან გადიდებას 1953 წელთან შედარებით.

ეიზენჰაუერის განცხადება

ვაშინგტონი, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აღნიშნა, რომ მან ადრე უკვე გამოთქვა თავისი სრული და უცვლელი ოპოზიცია ახლანდელ მდგომარეობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დაშვებისადმი.

ეიზენჰაუერი აცხადებდა, რომ ჩინეთი ომის მდგომარეობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, და, კერძოდ, განაცხადა, თითქოს ჩინელებს ოკუპირებული აქვთ ჩრდილოეთი კორეა, მხარს უჭერენ ინდოჩინეთის დამონებას და სხვ.

პასუხად თხოვნისა აზრი გამოეთქვა იმ მოთხოვნის შესახებ, რომ შეერთებული შტატები წავიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, თუ ამ ორგანიზაციაში დაუშვებენ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს, ეიზენჰაუერმა აზრი გამოთქვა ამ საკითხის წინასწარ გადაკრის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ თუ შეერთებული შტატები დამარცხებას განიცდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაშვების საკითხში, მაშინ გადაიკრება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოქმედებას მიმართავენ შეერთებული შტატები. პრეზიდენტმა დასძინა, რომ ეს მისი საკუთარი აზრია და რომ იგი არასოდეს არაფერს არ თმობს ბრძოლაში, სანამ მას სრულ დამარცხებას არ მიაყენებენ.

ДАЛЕСИС ГАНЦХАДЕБА ПРЕС-КОНФЕРЕНЦИАЗЕ

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც ნიუ-იორკის რადიო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც გაიმეორა ეიზენჰაუერის თვალსაზრისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხზე. დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებენ ვეტოს უფლებას, რათა არ დაუშვან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უშიშროების საბჭოში.

ინდონეზიის პრესა სინგაპურის სამხედრო თათბირის შესახებ

ჯაკარტა, 8 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრალიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირს სინგაპურში. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს სამხედრო თათბირი დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთო გეგმებთან, რომელთა მიზანია აგრესიული ბლოკის შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და რომ სინგაპურში გულდასმით ანალიზს უკეთებენ საომარ მოქმედებას ინდოჩინეთში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ბერლინი, 9 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყება გადმოგვცემს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის წინადადებით შემდეგი განცხადება გაანაქვეყნა:

საფრანგეთის მიმართ ადენაუერის პროვოკაციულმა მუქარამ, რომლის მიზანია დაამტკიცებინონ საფრანგეთს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით საფრანგეთის საზოგადოებრიობაში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. გაისმის ხმები, რომ გერმანიას ჰკუა ვერ ასწავლა წარსულის გაკვეთილებმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უაღრესად მტკიცედ აცხადებს, რომ ადენაუერს უფლება არა აქვს ელაპარაკოს გერმანელი ხალხის სახელით. მისი სიტყვა და საქმე პირდაპირ ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის უმეტესობის მისწრაფებას მშვიდობისადმი. გერმანიაში შეუპოვარი ბრძოლაა დემოკრატიულ ძალებსა და რევანშს მოწყურებულ შოვინისტებს შორის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ორი მსოფლიო ომის გაჩაღებაში, იმაში, რომ ათი სისხლი და ცრემლი მოუტანეს თავიანთ ხალხს, აგრეთვე ევროპის ხალხებს. ადენაუერი განაგრძობს გერმანიის იმპერიალიზმის წინანდელ პოლიტიკას. ჩვენი ხალხის დემოკრატიული ძალები გადაკრით ილაშქრებენ ამის წინააღმდეგ და ნამდვილად ესწრაფვიან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ევროპის ყველა ხალხთან. ასეთი პოლიტიკა შეესაბამება როგორც გერმანელი, ისე ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. იგი შეესაბამება ევროპის ყველა სხვა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ გერმანელი ხალხის მოთხოვნა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე მშვიდობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ფრანგ ხალხთან, გამოიწვევს დემოკრატიული ძალების ზრდას დასავლეთ გერმანიაში, მშვიდობასა და უშიშროებას ორივე ხალხისათვის. გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალები უფრო ძლიერი აღმოჩნდებიან, ვიდრე ადენაუერის ცდები — გადააქციოს დასავლეთ გერმანია დასავლეთ ევროპის ჯანდარმად.

17 ოქტომბერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის არჩევნების დღეა

ბერლინი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნიშნავს საააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ ოიჰანეს დიკმანმა, დემოკრატიული ბლოკის წინადადების დაკმაყოფილების მიზნით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 58 მუხლის შესაბამისად, სახალხო პალატის არჩევნები დანიშნა კვირას, 1954 წლის 17 ოქტომბერს. ამავე დროს მან სთხოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს წარუდგინოს სახალხო პალატას დასამტკიცებლად საარჩევნო კანონის პროექტი.

ორი სარდლობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ვიეტნამში

შანხაი, 8 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს:

ტუნგ-ყიაში ორი სარდლობის წარმომადგენლთა სამხედრო თათბირის 6 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად, 7 ივლისს დილით მუშაობა დაიწყო ერთობლივმა ქვეკომისიამ, რომელიც განაგებს სამხედრო ტყვეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სამხედრო ტყვეებისათვის მედიკამენტების გაგზავნისა და წერილების გაცვლის საკითხის შესწავლას. მიღებული ცნობების თანახმად, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ერთობლივ ქვეკომისიაში მიაღწიეს შეთანხმებას ბევრ საკითხზე.

კხმერის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

შანხაი, 8 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს:

კხმერის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კხმერის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ქალაქ კომპონგ-ჩამის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაანადგურეს ამერიკელთა მიერ ახლახან შექმნილი და აღჭურვილი ბატალიონი, რომელიც კამბოჯის მეფის სამსახურში იყო.

ივნისის მეორე ნახევრის განმავლობაში კხმერის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გააძლიერა თავისი მოქმედება სამხრეთ-აღმოსავლეთ კხმერში. სახალხო ჯარებმა დაანგრიეს საკომუნიკაციო ხაზები, რომლებსაც მტერი უწევდა კონტროლს, საფრთხე შეუქმნეს ფრანგთა საგუშაგოებს ამ რაიონში და გაათავისუფლეს 12 ათასი კაცი მოსახლეობა.

მდგომარეობა ტუნისში

პარიზი, 9 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის პრესის ცნობით, ტუნისის მბლის მთავრობის გადადგომის შემდეგ ვერც ფრანგმა ხელისუფლებმა, ვერც ტუნისის ბეიმ ვერ შეძლეს გამოენახათ მოღვაწე ახალი პრემიერის პოსტზე. საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის წინადადებით პრემიერ-მინისტრის ფუნქციები დაეკისრა საფრანგეთის გენერალურ მდივანს ტუნისის „თავრობასთან“ დიუპუიას, ხოლო მინისტრების ფუნქციები — უმაღლესი მოხელეების ჯგუფს.

ასეთი მდგომარეობა ტუნისის საზოგადოებრიობის პროტესტებს იწვევს. პარტია „ნეო-დესტურის“ წარმომადგენელმა საფრანგეთში მასთუდმ გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება იმის წინააღმდეგ, რომ დეკრეტის გზით მაღალი თანამდებობის ფრანგ მოხელეს მიენდო ტუნისის პრემიერ-მინისტრის ფუნქციები.

განხეთქილება გვატემალის სამხედრო ხუნტაში

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ გვატემალიდან იუწყება, რომ შეხლა-შემოხლაა სამხედრო ხუნტაში. „კასტილიო არმასს, — წერს კორესპონდენტი, — სრულ თანამშრომლობას არ უწევენ ახალი სამხედრო ხუნტის სხვა წევრები“.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნა“ კორესპონდენტი ბიგარტი იუწყება, კასტილიო არმასის მომხრეები წინასწარეტყველებენ, რომ შეჯახება მოხდება ძალაუფლებისათვის არმასსა და დროებითს პრეზიდენტ მონსონს შორის. კორესპონდენტის სიტყვით არმიაში უკმაყოფილონი არიან არმასის მომხრეებით, რომლებიც თავით ფეხამდე შეიარაღებული არიან.

სპორტის ამბები

საბჭოთა მოჭადრაკეები ინგლისში

ლონდონი, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა გროსმაისტერებმა ბრონშტეინმა და კერესმა თემთა პალატაში გამართეს ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე. სეანსში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტისა და მთავრობის წევრებმა.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს 17 პარტია, 1 წააგეს და 2 ყაიმით დაამთავრეს.

სეანსის შემდეგ პენსიებისა და ეროვნული დაზღვევის მინისტრმა ოსბერტ პიკმა, აგრეთვე ლეიბორისტმა სილვერმენმა და პარლამენტის სხვა წევრებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოთა მოჭადრაკეებს.

საბჭოთა კავშირის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის

რიგა, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის XVI პირველობის რიგის ნახევარფინალი ქალთა შორის. ტურნირში მონაწილეობს თოთხმეტი ქალი — ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. მოჭადრაკეთა შორის არიან: ტომორკოვა (მოსკოვი), ვენდრო